დაიჯესტი

5 - 14 მარტი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

9 მარტს, ლოს-ანჯელესის საქალაქო საბჭომ მხარი დაუჭირა ქალაქის პოლიციის დეპარმანეტის პროექტს, მიიღოს 250,000 ამერიკულ დოლარის ოდენობის გრანტი შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტისგან ძალადობისა და ტერორიზმის პრევენციის პროგრამის ფარგლებში.

გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებული სამეფოს კონტრტერორისტული კანონმდებლობის მოქმედი გარე-შემფასებლის, ჯონათან ჰოლის, უფლებამოსილება 2025 წლის 23 მაისამდე გახანგრძლივდა. მისი თქმით, შემდეგი სამი წლის განმავლობაში ფოკუსირდება ინტერნეტ-ტერორიზმზე.

ერაყი

აღმოსავლეთ ქირქუქში, მაცხოვრებლებმა საკუთარი ძალებით შეძლეს დასახლებაზე 8 მარტს დაეშის მიერ მიტანილი იერიშის მოგერიება.

სირია

სახელმწიფო მედიის სამსახურის, სანა'ას განცხადებით, 6 მარტს, 13 ჯარისკაცი მოკლეს პალმირასთან ახლოს სირიის აღმოსავლეთ რეგიონში. საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, თავდასხმის შედეგად დაიჭრა 18 ადამიანი. ბრიტანეთში დაფუძნებულმა სირიის ადამიანთა უფლებების დამკვირვებელმა ცენტრმა შეტაკებაში დაეში დაადანაშაულა.

საუდის არაბეთი

10 მარტს, საუდის არაბეთის დედაქალაქ რიადში ქარხანაზე უპილოტო საფრენი აპარატის თავდასხმაზე პასუხისმგებლობა იემენელი ჰუსიტების ჯგუფმა აიღო.

ნიგერია

ცხრა მარტს, ნიგერიის კების შტატში, შეიარაღებული პირის მიერ თავდასხმას გუბერნატორის მოადგილის კოლონაზე, მინიმუმ 19 ჯარისკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა.

მალი

7 მარტს, საფრანგეთის სექტორის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მოკლეს ალ კაიდას წევრი, ლიბიაში. განცხადებაში ნათქვამია, რომ ალჟირელი იაჰაია ჯუადი, რომელმაც სახელი გადაირქვა და გახდა აბუ ამმარ ალ ჯაზაირი ტიმბუქტუს ჩრდილოეთით მოკლეს.

პაკისტანი

9 მარტს, პოლიციამ გააკეთა განმარტება, რომ დაეშის თვითმკვლელი ტერორისტი, რომელმაც გასულ კვირას 64 ადამიანი მოკლა შიიტურ მეჩეთში ჩრდილო-დასავლეთ პაკისტანში, ავღანელი დევნილი იყო.